

ქ.თბილისი

2018 წლის 17 ოქტომბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 17 ოქტომბერს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ლაშა თავართქილაძე, ირაკლი ჩიქავა. ლევან ჩიკვაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის ა. ნიქაბაძის ოქმი და მოწოდებული ინფორმაცია, მთავარი მსაჯის ი. მყავანაძისა და თანამსაჯის პ. ჭიქაბერიძის მოხსენებითი ბარათები, ამა წლის 13 ოქტომბერს, I ლიგის მატჩზე, ქუთაისის „ბაგრატი“-სა და ფოთის „კოლხი რაინდები“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

1. ქუთაისის „ბაგრატი“-ს წარმომადგენელი დავით იობიძე - მატჩის ოფიციალური პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა.
2. ქუთაისის „ბაგრატი“-ს მორაგბე ბაკურ გოშაძე - მატჩის ოფიციალური პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.4, 2.2.2 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ქუთაისის „ბაგრატი“-ს წარმომადგენელი დ. იობიძე დისკვალიფიცირებული იქნას 1(ერთი) წლით. ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 2000(ორი ათასი) ლარით.
2. ქუთაისის „ბაგრატი“-ს მორაგბე მორაგბე ბ. გოშაძე დისკვალიფიცირებული იქნას 10(ათი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 1000 (ათასი) ლარით.
3. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 17 ნოემბრამდე.
4. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ქუთაისის „ბაგრატი“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/